ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 13

ქ. ონი 16. 12. 2021 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 29 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, თორნიკე მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, სერგო ლობჯანიძე, გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, მადლენა მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, ემზარ საბანაძე, გიორგი მეშვილდიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ირინა გობეჯიშვილი, მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

- 2022-2025 წლების ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- 2022 წლის ბიუჯეტის კაპიტალური დანართი
- ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია(ა)იპ-ების ბიუჯეტის დანართი
- ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. მაგდა მაისურაძე- მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი.

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის #9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

6. შპს ,,ონის სერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

 მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს.მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი

7. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის 2018 წლის 23 აგვისტოს განკარგულება #28-ში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი
დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

- 2022-2025 წლების ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- 2022 წლის ბიუჯეტის კაპიტალური დანართი
- ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია(ა)იპ-ების ბიუჯეტის დანართი
- ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი.

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ბ. მარკოიშვილმა მიმართა ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეებს სხდომისთვის გაეცნოთ ფრაქციებისა და კომისიის სხდომებზე მიღებული დასკვნა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ განაცხადა, რომ ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნა საფინანსო კომისიის სხდომაზე, კომისიის დასკვნით, იგი მორგებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს და ორიენტირებულია იმ პრიორიტეტული პროექტების განხორციელებაზე, რომელიც აქტუალურია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს ფრაქციის სხდომაზე განხილული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ფრაქციამ წარმოადგინა 21 შენიშვნა, რომელთაგან გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, ნაწილი კი ამ ეტაპზე გადაიდო ფინანსების არქონის გამო. ფრაქციამ ასევე განიხილა განმეორებით შემოსული ბიუჯეტის პროექტი, ყურადღება გამახვილდა ორ ძირითად საკითხზე: 1. მურმან ლებანიძის საიუბილეო ღონისძიების გამართვა, რაზეც სიტყვიერი დაპირებაა მერიისგან. 2. ფრაქცია შემოდის წინადადებით შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრაზე ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, კულტურის და ა.შ. კუთხით. ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

თ. ცეცაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის საკასო შესრულების ციფრები არ არის მისაღები და იგი აუცილებლად სამომავლოდ გამოიწვევს ხარვეზებს. საჭიროა მეტი მუშაობა ამ კუთხით, რომ მომავალი წლის საკასო შესრულების მაჩვენებელი გაიზარდოს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის" და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. მაგდა მაისურაძე- მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი.

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის #9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის #9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 6. შპს ,,ონის სერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომომხს.მარიამ გობეჯიშვილი-მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი შპს ,,ონის სერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ და განმარტა, რომ 2019 წელს მოხდა ,,ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს ,,მოედანი 2009“-ს გაერთიანება მუნიციპალიტეტის მიერ ფუნქციების ეფექტურად განხორციელების, ფინანსური რესურსის დაზოგვისა და ერთი მენეჯმენტის პირობებში ეფექტურად მართვის მიზნით, რომელიც ფუნქციურად უნდა ყოფილიყო მოქნილი, მრავალფეროვანი და მოგებაზე ორიენტირებული. თუმცა აღმოჩნდა, რომ გაერთიანებულმა ორგანიზაციამ ფუნქციურ დატვირთვას თავი ვერ გაართვა და ვერცერთი ზემოთ დასახელებული მიზანი ვერ განახორციელა, ორგანიზაციის გაყოფით ორი შპს უფრო ეფექტურად მოემსახურება მუნიციპალიტეტს და მიაწვდის შესაბამის სერვისებს.

თ. ცეცაძემ განაცხადა, რომ საჭიროა განმარტება, რა კვლევის საფუძველზე მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და თუ არსებობს სამომავლო სტრატეგიული განვითარების გეგმა და კეთდება თუ არა ეს ყველაფერი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ვიდრე მოხდებოდა აღნიშნული ორი შპს-ს გაერთიანება, შპს ,,მოედანი 2009“ იმ ეტაპზე იყო მომგებიანი შპს, იყო ვარაუდი, რომ იგი უფრო მომგებიანი და

ეფექტური გახდებოდა შპს ,,ონის კომუნალურ სამსახურთან“ გაერთიანების შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ ეს მოსაზრება იყო მცდარი. პრაქტიკამ აჩვენა, რომ შპს ეფექტური და მოგებაზე ორიენტირებული იყო გაერთიანებამდე, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 7. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის 2018 წლის 23 აგვისტოს განკარგულება #28-ში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

თანამომომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2018 წლის 23 აგვისტოს განკარგულება #28-ში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ მამისონს“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცემა სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა.

მომხრე 24, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

გელა მეტრეველმა ისაუბრა არტუანის უბანში სასმელი წყლის მომარაგებისა და ხარისხის პრობლემის შესახებ.

თ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ლაგვანთა-მაჟიეთი-საკაოს გზის რეაბილიტაციისას გამოთავისუფლებული ნარჩენი გრუნტი იყრება მდ. რიონის მიმდებარედ და რადგან აღნიშნული გრუნტი (ნაშალი კლდე) არის წვრილმარცვლოვანი და შესაძლებელია გამოყენებული იქნას გზების მოსახრეშ მასალად, საჭიროა დასაწყობდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში გამოყენების მიზნით.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე